

ბანა სანაწილი
მხინჯი ჰეხეხინა



ჰერმესი დღითი დღე გამჭვირვალე ხდებოდა. ქრებოდა. იცრიცებოდა. როგორც ბავშვობის მოგონება. როგორც ლამის გასათევად დანთებული კოცონის კვამლი განთიადისას. როგორც უფორმო ლაქა ნებისმიერი სარეცხი საშუალების რეკლამაში. მუჭში მოქცეული ნებისმიერი საგანი ისე წმინდად ჩანდა, თითქოს ხელის ნაცვლად კამკამა ნაკადული ან მინის ლარნაკული ლარნაკი. ნექტარი და ამბროზია საარსებოდ აღარ კმაროდა, რადგან ღმერთობისთვის საკვებზე მეტად რწმენა იყო საჭირო. მისი კი აღარავის სწამდა. ადამიანები მეტისმეტად განვითარებულიყვნენ იმისათვის, ჰერმესის რეალურობა რომ დაეჯერებინათ. თუმცა, არც იმდენად, ყველანაირი ღმერთის არსებობაზე რომ ეთქვათ უარი.

გზის პირას მჯდომს ღია კარეტამ ხმაურით ჩაუარა. მგზავრები ლეიფციგისაკენ მიიჩქაროდნენ და საკუთარი მფარველი (მით უმეტეს, გამჭვირვალე) ღმერთისათვის ნაკლებად ეცალათ. თვითონ ჰერმესი ამ ქვეყანაში იმ ახალგაზრდა ბერთან სასაუბროდ ჩამოვიდა, აქედან მცირე მანძილის დაშორებით რომ დაიბადა წლების წინ და მოგვიანებით ცნობილი ოთხმოცდათხუთმეტი თეზისი მიაჭედა ვიტენბურგის ეკლესიის კარზე. უნდოდა დახმარება ეთხოვა და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით, რეფორმაციის ნაცვლად კათოლიციზმი საერთოდაც აღმოეფხვრა მსოფლიოს ისტორიიდან. თუმცა, ლუთერი ნაკლებად სტუმართმოყვარე აღმოჩნდა. დანახვისთანავე, სიტყვის უთქმელად ესროლა სამელნე. მადლობა ღმერთს, რომ მაგ დროს უკვე გამჭვირვალე იყო და ადვილად გადარჩა

- იმ დურგლის ბრალია ყველაფერი, - ამოიოხრა - იესოსი. ვერაფრით გავიგე, ან ჯერ ჯვარზე რატომ გააკრეს ან მერე რატომ გააღმერთეს... მაგრამ მაგის გამო კია, მითებში რომ გვიკრეს თავი და ჩვენი აღარავის სწამს.

კვერთხით მუზარადი მოიქეჯა. გველებს ბუმბულზე ალერგია ჰქონდათ და ქუდთან ყოველ შეხებაზე ისტერიკულად აცემინებდათ. ოღონდ, მათ მიერ გამოცემული ბგერები იმდენად სუსტი იყო, არათუ ჰერმესი, შვიდწლედდამთავრებულ სერპანტოლოგთა ასოციაციის ყველაზე სმენამახვილი წარმომადგენელიც კი ვერაფერს გაიგებდა.

რალაც უნდა შევცვალო, თორემ ასე საერთოდ გავქრები - გაიფიქრა - ნეტა რა მოხდებოდა მე რომ დამესწრო? ჰო. მე რომ უფრო ადრე გამესალებინა

თავი მესიად და მასზე წინ გავეკარი ვინმეს ჯვარზე... ჩვენი პანთეონის სხვა ღმერთებს კი ვერ გადაარჩენს ეგ, მაგრამ იმათ თავისი იდარდონ. ისიც მეყოფა, ამდენი ხანი შიკრიკად რომ ვედექი - ღმერთი ვარ მეც, ბოლოსდაბოლოს, ის კი არა...

ჰერმესს „ის“ აღარ დაუკონკრეტებია. არ უნდოდა, მეტისმეტად სკაბრეზულად გამოსვლოდა. სხვა თუ არაფერი, ერთადერთი თვითონ იყო ამდენ ღმერთში, ვისაც თავის გადასარჩენად ქრისტეს ჩანაცვლების იდეა მოუვიდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ სხვებზე ოდნავ ჭკვიანი იყო ან შესაძლოა, იმიტომაც, რომ სხვებს ის ფრთოსანი ჯადოსნური ფეხსაცმელი არ ჰქონდათ, რომელიც დროსა თუ სივრცეს არ სცნობდა და მათ მფლობელს გადაადგილება ნებისმიერ განზომილებაში შეეძლო...

...მერე ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ალტერნატიულ ისტორიას ვწერ - სიამაყით გაიფიქრა ჰერმესმა, როდესაც მცველთა რაზმმა დანაშაულის ადგილზე შეიპყრო. ქრისტემდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა, სანამ ეს წამი დადგებოდა, რამდენიმე თვე თავი მესიად მოჰქონდა. ალაგ-ალაგ სასწაულებს ახდენდა. ფეხსაცმლის დახმარებით ერთხელ ამაღლდა კიდეც. მიმდევრებიც ჰყავდა და მცირე ხანში მიხვდა - მზად იყო მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ხალხისათვის თაყვანისცემის მიზეზი მიეცა. მთავარია, როგორმე ჯვარს ეცვათ, მერე სიკვდილს გაითამაშებდა და სამ დღეში საერთოდ აკლდამიდან გაქრებოდა. ისედაც აღარ აკლდა ბევრი...

იუდეის პროვინციის მეხუთე პრეფექტს თავი სტკიოდა, ამიტომ სურდა დაკითხვის ბანალურ პროცედურას მალევე ჩაეველო.

- სახელი?

ჰერმესს, ცხადია, არ სურდა ქრისტესშობამდელი სახელი გამოეყენებინა. გადანყვიტა, მთლიანად მოშორებოდა წარსულს. ამის გამო, როდესაც ეს შეკითხვა დაუსვეს, თავისი ერთ-ერთი იუდეველი მიმდევრის სახელი შეარჩია. მუსიკალურად ჟღერადი და ადვილად დასამახსოვრებელი, რადგან სწორედ ამ სახელით უნდა შესულიყო ისტორიაში. შესულიყო არა როგორც ავაზაკთა მფარველი, არამედ როგორც ავაზაკი. და ვერავინ აღუდგებოდა განგებას წინ. სამყარო იწამებდა იმ სახელს, რომელსაც ახლა იტყოდა და ჰერმესმაც ისე, რომ ყველას ყველაფერი გარკვევით გაეგონა, დამარცვლით წარმოთქვა:

- ბა-რა-ბა!